ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 06/23

პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება 260201 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

ქ. თბილისი **11 ივნისი 2019 წელი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე **მხრივ, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი თავმჯდომარის **ნიკა ახალბედაშვილის** სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე (**www.matsne.gov.ge**) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვა (**CPV კოდი: 48312000 - ელექტრონული პუბლიკაციის პროგრამული პაკეტი).**

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **4 752.00 ლარს (ოთხი ათას შვიდას ორმოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი).**

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

2.3 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე **(www.matsne.gov.ge)** განთავსებული სისტემატიზირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით სარგებლობის პირობები და საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 06 დეკემბრის #225 ბრძანების საფუძველზე:

3.2 მაცნეს ვებგვერდზე **(www.matsne.gov.ge)**, განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია **44 მომხმარებელზე.**

4. მომსახურების შესაბამისობა

4.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. ვებ-გვერდით სარგებლობის პირობები და ვადები

5.1 ვებ-გვერდით სარგებლობა განხორციელდება მაცნეს ვებგვერდის საშუალებით, **მომხმარებლის სახელ(ებ)ის (user name) გააქტიურებიდან 2019 წლის 11 ივნისიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება მომხმარებლის სახელისა (user name) და პაროლის გადაცემით მომსახურების გაწევითა და წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის სახაზინო რეკვიზიტების შესაბამისად.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 განახორციელოს მაცნეს ვებ-გვერდზე **(www.matsne.gov.ge),** ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება.

8.1.2 უზრუნველყოს მაცნეს ვებ-გვერდზე **(www.matsne.gov.ge),** განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება;

8.1.3 უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

8.1.4 ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე უზრუნველყოს სისტემაში დაშვება **დანართი N1-ის** შესაბამისად.

8.1.5 აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (user name) - პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა;

8.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს მიმწოდებლთან ანგარიშწორება ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

8.2.3 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2.4 თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი, და უზრუნველყოს მისი დაცვა;

8.2.5 წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.

9. მხარეთა უფლებები

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

9.1.2 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს მოწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით;

9.2.2 მოითხოვოს მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის გამოწვევა განპირობებულია უშუალოდ მიმწოდებლის ბრალეულობით.

10. ფორს-მაჟორი

10.1.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

10.1.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მიმწოდებლისგან;

10.1.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს

შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

11.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით;

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით;

13.2 იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო გაზრდის შედეგად საერთო მომხმარებლების რაოდენობა დაექვემდებარება სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება;

13.3 მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში არსებული საფასურით დადგენილი საერთო ღირებულების სხვაობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს მოთხოვნის შემთხვევაში ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

14.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - სალომე მეხუზლა,** რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

15.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის N27, საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223, სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“** მის: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის N2. ს/კ 203862622 TRESGE22 ანგარიში: 707407076 თავმჯდომარე
/იულია ტყეშელაშვილი/	**/ნიკა ახალბედაშვილი/**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Date: 2019.06.11 17:00:40 +04'00'

სტანდარტული პაროლი ექვემდებარება სავალდებულო შეცვლას მომხმარებლის მიერ:

- შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ უზუსტობაზე დანართში ასახულ ინფორმაციაზე და მათ საფუძველზე გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს.
- დანართში მითითებულ პირთა ინფორმაცია, რომლებიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ავტომატურად დამუშავებულ იქნება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მონაცემების დამუშავების თაობაზე მომხმარებლის (სუბიექტი) ინფორმირებულობა და მისი თანხმობის ტვირთი ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.
- დანართი ივსება ლათინური ასოებით.

N	სახელი და გვარი	მომხმარებლის სახელი (USER NAME)	E-mail	სტანდარტ. პაროლი	ღირებულება (ლარი)
1	ნიკა ცხვარაშვილი	ntskhvarashvili	ntskhvarashvili@justice.gov.ge	1	108.00
2	ალეკო მღებრიშვილი	amghebrishvili 2	amghebrishvili@justice.gov.ge	1	108.00
3	გიორგი ბაქაქური	gbakakuri	gbakakuri@justice.gov.ge	1	108.00
4	დავით ხანიაშვილი	dkhaniashvili	dkhaniashvili@justice.gov.ge	1	108.00
5	თამაზ მაჩიტიძე	tmachitidze	tmachitidze@justice.gov.ge	1	108.00
6	დიმიტრი ჩიჩუა	dchichua	dchichua@justice.gov.ge	1	108.00
7	ირაკლი ლაშხი	ilashkhi	ilashkhi@justice.gov.ge	1	108.00
8	გიული ქუხილავა	gkukhilava1	gkukhilava1@justice.gov.ge	1	108.00
9	დავით ბერიანიძე	dberianidze	dberianidze@justice.gov.ge	1	108.00
10	ინგა სარჯველაძე	isarjveladze 2	isarjveladze@justice.gov.ge	1	108.00
11	თამარ ჟველია	tzhvelia	tzhvelia@justice.gov.ge	1	108.00
12	ნინო ქრისტესიაშვილი	nikristesiashvili	nikristesiashvili@justice.gov.ge	1	108.00
13	ლევანი ნოზაძე	lnozadze	lnozadze@justice.gov.ge	1	108.00
14	ცისმარი ქიტესაშვილი	tkitesashvili	tkitesashvili@justice.gov.ge	1	108.00
15	თეონა ბაბუნაშვილი	tebabunashvili	tebabunashvili@justice.gov.ge	1	108.00
16	ნატო მიშველიძე	nmishvelidze	nmishvelidze@justice.gov.ge	1	108.00
17	გულისა ბაჯაძე	gbajadze	gbajadze@justice.gov.ge	1	108.00
18	თამარ გელოვანი	tgelovani 2	tgelovani@justice.gov.ge	1	108.00
19	ნინო ჯაკონია-სუდაძე	njakonia-sudadze	njakonia-sudadze@justice.gov.ge	1	108.00
20	მარინა მურაჩაშვილი	mamurachashvili	mamurachashvili@justice.gov.ge	1	108.00
21	ნატო წიკლაური	natsiklauri	natsiklauri@justice.gov.ge	1	108.00
22	თამთა რეხვიაშვილი	trekhviashvili1	trekhviashvili1@justice.gov.ge	1	108.00
23	სალომე ჭანუყვაძე	schanukvadze	schanukvadze@justice.gov.ge	1	108.00
24	ნათია ცუცქირიძე	natsutskiridze	natsutskiridze@justice.gov.ge	1	108.00
25	მარიამ მჭედლიშვილი	mamchedlishvili1	mamchedlishvili1@justice.gov.ge	1	108.00
26	ნონა დეკანოიძე	ndekanoidze	ndekanoidze@justice.gov.ge	1	108.00
27	მამუკა გოგუაძე	mgoguadze	mgoguadze@justice.gov.ge	1	108.00
28	ელგუჯა კუბიაშვილი	ekubiashvili	ekubiashvili@justice.gov.ge	1	108.00
29	მიხეილ ჩიტაძე	mchitadze	mchitadze@justice.gov.ge	1	108.00
30	დავით ზაქაშვილი	dzakashvili	dzakashvili@justice.gov.ge	1	108.00
31	თენგიზ საცერაძე	tsatseradze	tsatseradze@justice.gov.ge	1	108.00
32	შოთა გვასალია	shgvasalia	shgvasalia@justice.gov.ge	1	108.00
33	ლევან ზოზირაშვილი	lzozirashvili	lzozirashvili@justice.gov.ge	1	108.00
34	თინათინ სუდაძე	tsudadze 2	tsudadze@justice.gov.ge	1	108.00
35	ანა ფერაძე	aperadze	aperadze@justice.gov.ge	1	108.00
36	მარიამ გელაშვილი	marigelashvili 2	marigelashvili@justice.gov.ge	1	108.00

37	რუსუდან უშიკიშვილი	rushikishvili	rushikishvili@justice.gov.ge	1	108.00
38	დიმიტრი ზურაბიშვილი	dzurabishvili	dzurabishvili@justice.gov.ge	1	108.00
39	ლევან ხაბელაშვილი	lkhabelashvili	lkhabelashvili@justice.gov.ge	1	108.00
40	ნინო გულოშვილი	nguloshvili	nguloshvili@justice.gov.ge	1	108.00
41	დავით ერგემლიძე	dergemlidze	dergemlidze@justice.gov.ge	1	108.00
42	გიორგი ნოზაძე	gnozadze 2	gnozadze2@justice.gov.ge	1	108.00
43	ვანო ჯალაბაძე	vjalabadze	vjalabadze@justice.gov.ge	1	108.00
44	თინათინ ურუშაძე	turushadze 2	turushadze@justice.gov.ge	1	108.00
					4752.00